საიდ. N71958/03

IR 1154544

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №147-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,გრუნდიგ მულტიმედია ბ.ვ." (Grundig Multimedia B.V.) (მის.: ლუნა არენა, ჰერიკერბერგვეგ 238, NL-1101 CM ამსტერდამი ზუიდოოსტ; Luna ArenA, Herikerbergweg 238, NL-1101 CM Amsterdam Zuidoost (NL)) N147-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივნისის №1444/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,Quick&Healthy" (საიდ. N71958/03 IR 1154544) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-11 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივნისის N1444/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy" ქართულად ითარგმნება როგორც ,,სწრაფი და ჯანმრთელი", შესაბამისად მე-11 კლასის განცხადებული საქონლისათვის სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია, ვინაიდან, მიუთითებს საქონლის თვისებებზე, დანიშნულებასა და ხარისხზე. გარდა ამისა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის მიმართ. შესაბამისად, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი განმარტავს, რომ ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, თუ იგი: არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ და/ან აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად.

აპელანტის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობისა და განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ აღწერილობითი ხასიათის შესაფასებლად, აუცილებელია სასაქონლო ნიშანში ორივე კრიტერიუმი შეფასდეს ინდივიდუალურად.

კერძოდ, აპელანტი განმარტავს სასაქნლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის კრიტერიუმს და აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy“ წარმოადგენს სამი

გადაბმული ელემენტის ერთიან კომპოზიციას, კერძოდ: სიტყვა - ,,Quick“, რომელიც ინგლისური სიტყვაა და ქართულ ენაზე მისი მნიშვნელობებია: ,,სწრაფი“, ,,ჩქარი“, ,,გადაუდებელი“, ,,მარდი“, ,,ცქვიტი“, ,,მარჯვე“. აღნიშვნა ,,&“ (ampersand), რომელიც ინგლისურ ენაში, დღეისათვის კი ბევრ სხვა ენაშიც, გამოიყენება კავშირის ,,and” (და) მაგივრად. სიტყვა - ,,Healthy“, რომელიც ასევე ინგლისური სიტყვაა და მისი ქართული შესატყვისებია: ,,ჯანმრთელი“, ,,ჯანსაღი“, ,,აყვავებული“, ,,საღი“.

აპელანტის აზრით, ერთიან კომპოზიციაში შემავალი ორივე სიტყვა, როგორც სიტყვა ,,Quick“, ასევე სიტყვა ,,Healthy“, წარმოადგენენ ზედსართავ სახელებს და აქედან გამომდინარე, ქართველმა მომხმარებელმა განცხადებული სასაქონლო ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა შეიძლება აღიქვას როგორც: ,,სწრაფი და ჯანმრთელი”; ,,მარდი და ჯანსაღი”, ,,ცქვიტი და საღი” და სხვა. აპელანტს მიაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი ნებისმიერი კომბინაცია, ქართველი მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც ადვილად დასამახსოვრებელი სლოგანი და აქედან გამომდინარე, მისი განმასხვავებელუნარიანობა განცხადებული საქონლის მიმართ საკმაოდ მაღალია. გარდა ამისა, ეს სიტყვები არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც არაგანმასხვავებელუნარიანი მე-11 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ.

აპელანტი ასევე განმარტავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის აღწერილობითობის კრიტერიუმს, საქონლის განცხადებულ ჩამონათვალთან მიმართებაში, კერძოდ, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 კლასის შემდეგი საქონლისათვის: ,,მოწყობილობები ჰაერის კონდიცირებისათვის; გამაცივებელი აპარატურა, სახელდობრ რეფრიჟერატორები, რძის გამაცივებლები, წყლის გამაცივებლები, მაცივრები, ყინულის გენერატორები და მოწყობილობები, საყინულეები; ელექტრულ დენზე და აირზე მომუშავე აპარატურა, მანქანები და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება გაცივებისათვის; სამრეწველო ტიპის გამაცივებელი დანადგარები“ (Air conditioning devices; cooling apparatus, namely refrigerators, milk coolers, water coolers, ice-boxes, ice machines and devices, freezers; electric and gas operated apparatus, machines and devices used in cooling; industrial type cooling installations).

აპელანტს მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy“, მისი ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობებიდან გამომდინარე, არც პირდაპირ და არც ირიბად არ მიანიშნებს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 კლასის განცხადებული

საქონლის ჩამონათვალის თვისებებსა და დანიშნულებაზე და იგი არ უნდა ჩაითვალოს აღწერილობით სასაქონლო ნიშნად ამ საქონლისათვის. აპელანტი თვლის, რომ ექსპერტიზის შეფასება არ არის სწორი და შესაბამისად, ექსპერტიზის გადაწყვეტილება უსაფუძვლოა.

აპელანტის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არის სამი სიტყვიერი ელემენტის ერთიანი კომპოზიცია, რომელიც არ აღიქმება როგორც სიტყვათა წყობა, ან ფრაზა. აქედან გამომდინარე, სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy", უნდა ჩაითვალოს ფანტაზიურ სიტყვად, სემანტიკური დატვირთვის გარეშე.

აპელანტი ხაზს უსვამს, რომ შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებამ, რომელიც ატარებს ექსპერტიზას როგორც ფარდობითი, ასევე აბსოლუტური საფუძვლებით, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy" (IR 1154544), არ ჩათვალა არაგანმასხვავებელუნარიან და განცხადებული საქონლის მიმართ აღწერილობით სიმბოლოდ და მიანიჭა დაცვა მე-11 კლასის სრული განცხადებული საქონლისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ავსტრალიისა და ისრაელის საპატენტო უწყებებმა, შეცვალეს ანალოგიური საფუძვლით გამოტანილი წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილებები და მიანიჭეს დაცვა საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,Quick&Healthy" (IR1154544) სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივნისის №1444/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,Quick&Healthy" (IR 1154544) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №147-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგია, იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანნი ,,Quick&Healthy" (IR 1154544) არ არის არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითი მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალისათვის.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი, არის ორი სიტყვისა და ერთი კავშირის კომბინაციის შედეგად მიღებული სიმბოლო, რომელიც ქართველი მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც ,,სწრაფი და ჯანმრთელი". მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიტყვიერი ელემენტები წარმოადგენენ ზედსართავ სახელებს სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ისინი არ აღწერენ სასაქონლო ნიშანს და არ მიუთითებენ საქონლის რაიმე მახასიათებელზე. განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-11 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალისათვის, რომელიც თავისთავად, არ შეიძლება იყოს არც ჯანმრთელი და არც სწრაფი. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,Quick&Healthy" (IR 1154544) საქონლის ისეთი ჩამონათვალისათვის, როგორიც არის ,,მოწყობილობები ჰაერის კონდიცირებისათვის; გამაცივებელი აპარატურა, სახელდობრ რეფრიჟერატორები, რძის გამაცივებლები, წყლის გამაცივებლები, მაცივრები, ყინულის გენერატორები და მოწყობილობები, საყინულეები; ელექტრულ დენზე და აირზე მომუშავე აპარატურა, მანქანები და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება გაცივებისათვის; სამრეწველო ტიპის გამაცივებელი დანადგარები", სწორედ რომ ფანტაზიურია. იმ პირობებშიც, თუ განცხადებულ სასაქონლო ნიშანს განვიხილავთ ცალ-ცალკე - ,,სწრაფი და ჯანმრთელი", ნაკლებად წარმოსადგენია, რომ აღნიშნული განსაზღვრება მომხმარებლის მიერ მიჩნეულ იქნას აღწერილობითად, მაგალითად, კონდიციონერებისა და საყინულეებისთვის. განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ მიუთითებს საქონლის ხარისხზე, ვინაიდან, როგორც კონდიციონერი, ისე საყინულე და ელექტრულ დენზე და აირზე მომუშავე აპარატურა, არ შეიძლება იყოს ჯანმრთელი და სწრაფი. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ არის აღწერილობითი და ფანტაზიურია განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის.

სააპელაციო პალატის კოლეგია, იზიარებს ასევე აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი, მასში შემავალი ელემენტებით, მომხმარებლის მიერ აღიქმება სლოგანად და შესაბამისად, განმასხვავებელუნარიანია იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება მისი დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და ,,დ" ქვეპუნქტებით

გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,Quick&Healthy“ (IR 1154544) უნდა მიენიჭოს დაცვა სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,გრუნდიგ მულტიმედია ბ.ვ.“ (Grundig Multimedia B.V.)სააპელაციო საჩივარი (საიდ. №147-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 ივნისის N1444/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,Quick&Healthy“ (IR 1154544) მიენიჭოს დაცვა საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ქ. კილაძე

ლ. კერესელიძე